ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3138144

ნომერი: AR1483410

თარიღი : 03.03.2017

გაცემის თარიღი : 09.03.2017

გაცნობის თარიღი : 10.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ხელაშვილი პ/ნ 01017005377
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 28/2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2007444
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.07.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 08/02/2017 წ. $ბ-452947/12 ბრძანებაში დაფიქსირებული დარღვევებიდან (ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული, სამშენებლო ნაგავი არ არის გატანილი ტერიტორიიდან, ,,დ-ა" და ,,6-1" ფასადი არ არის შეღებილი, შშმპ პანდუსის დახრის პროცენტი გაზრდილია) გამომდინარე , რადგან მშენებლობა დაუსრულებელია სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. საჭიროა დაასრულოთ სამშენებლო სამუშაოები და შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი შესაბამისობაში მოიყვანოთ დადგენილ ნორმებთან მიმართებაში „შეზღუდულიმესაძლებლობის მქონეპირებისათვის სივრცისმოწყობისა დაარქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტი (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით). ასევე საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი აღნიშნული დარღვევების გამოსწორებასთან დაკავსირებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.